# ცნობის ფურცელი

№ 1967 | ორშაბათი, 28 ოქტომბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1967

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

## 1903 წელს

გაზეთი „ივერია" გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

**ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა.** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისათვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

**ხ ე ლ ი ს - მ ო წ ე რ ა  მ ი ი ღ ე ბ ა:**

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზია (იგივე ქარვასლა). **ქუთაისში:**—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან. **ბათუმში:** ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში. **ბაქოში:** ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ). **ოზურგეთში:**—პართენ ნასიძესთან. **განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ), **გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე „ი ვ ე რ ი ა" **ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად**

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія" (5—4)

მთავრობის ნებართვით სამს ღვინობის თვიდან გაიხსნა

## ახალი მეთოთხმეტე აფთიაქი

პროვიზორის ნიკოლოოზ ივანეს ძის

## ბაზიეროვისა.

პესკის ქუჩა, სახლი № 26. (10—6)

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი (ტელეფონი № 617)

დღეს, ორშაბათს, 28 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ, მეორედ წარმოდგენილი იქნება

## მარგალიტების მაძიებელნი

ბონაჩიჩის და ბროჯი-მუტინის მონაწილეობით

ოპერა 3 მოქმედ. და 4 სურათ. მუსიკა ბიზესი.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნი ვან-დერ-ბრანდტისა; ბ-ნნი: ბონაჩიჩი, ბროჯი-მუტინი, პეტროვი და სხვანი.

**კაპელმეისტერი** ლ. შტეინბერგი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე. ყველა ფასები დაკლებულია.

ხვალ, სამშაბათს, 29 ოქტომბერს ა. მ. ვასილიევის ბენეფისია. დადგმულ იქნება „**ხიდი**".

პარასკევს, 1 ნოემბერს იქნება ბენეფისი პ. ი. პოლუიანოვისა. მოკლე ხანში დაიწყება წარმოდგენები ქალბ. მ. ნ. ინსაროვის მონაწილეობით.

მთავარი რეჟისორი **ივ. ფითოევი.** (ნ. 0—32)

ე ქ ი მ ი

## ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.

კ ბ ი ლ ი ს  ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ე ქ ი მ ი

## ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

მსურს ვთარგმნო „Школьные товарищи" თხზულება Эдмонда Д. Амичиса; თუ ვისმეს დაწყებული აქვს, ვსთხოვ ამავე გაზეთის საშუალებით მაცნობოს.

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

## მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ბედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

**დ ი ლ ი თ:**

**მ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**მ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ქ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. ბედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. გ. ბარხუძოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ბრ. მ. ხობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ო ბ ი თ:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და ლარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

**ტელეფონი № 274.** (წლ).

ე ქ ი მ ი

დავით ალექსანდრეს ძე,

## ბედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

კიროჩნი ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ. (45—19)

## ახალი ამბავი

✦ როგორც შევიტყეთ, ამერიკელ **კაპიტალისტებს განუზრახავთ კახეთში რკინის გზის გაყვანა.** ამას წინად ჩამოვიდა ტფილისში ერთი ამერიკელი, წარმომადგენელი ამ კაპიტალისტებისა. ამერიკელი უკვე წასულა კახეთში ადგილ-მდებარეობის დასათვალიერებლად. მიმართულება გზისა ჯერ ამორჩეული არ არის.

✦ 23 ოქტომბერს გორში ხელ-მეორედ **მოხდა ქალაქის მამასახლისის არჩევნები.** ყუთი დაიდგა მხოლოდ ა. ანდრონიკაშვილმა, რომელიც არჩეულ იქმნა შვიდის ხმის უმრავლესობით ხუთის ხმის წინაამდეგ.

✦ **ჭიათურიდან დეპეშით გვატყობინებენ,** რომ თავ. გრ. აბაშიძის მეცადინეობით დაუჭერიათ ავაზაკი ბუზელაძე ბოსლევისა და სალიეთის შუა. მეორე ავაზაკი, ბუზელაძისავე ძმა, დაუჭრიათ, მაგრამ გაქცეულა. დატუსაღებული ავაზაკი, რომელიც მეტად აწუხებდა მცხოვრებთ, ჭიათურაში გაგზავნეს.

✦ ტფილისში უკვე გაიხსნა **გამოფენა ფრანგ მხატვართა სურათებისა.** გამოფენა გამართულია საარტისტო საზოგადოების სადგომში, გოლოვინის პროსპექტზე. გამოფენა ღიაა დილის 11-დან საღამოს რვა საათამდის. შესასვლელი ფასი 40 კაპეიკია, მოსწავლეთათვის 20 კაპ.

✦ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „უღრმეს მადლობას ვუცხადებ კნ. ნინო სვიმონის ასულს ორბელიანისას, რომელმაც წიგნები შესწირა ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობის ბიბლიოთეკას, აგრეთვე ბ. იმედაშვილს. ბიბლიოთეკის გამგე ელენა ჯინორვისა".

### ქუთაისის ახალი ამბები

✦ „რუსსკ. ვედომ."-ს სიტყვით, ქუთაისის თავად-აზნაურობას განუზრახავს მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, რომ ქართული ენის სწავლება რიგიანად სწარმოებდეს ქუთაისის საშუალო სასწავლებლებში.

✦ ნოემბრის 4-სათვის ქუთაისში დანიშნულია სხდომა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტის 1-ლის (სამეურნეო) სექციისა ბ. სტაროსელსკის თავმჯდომარეობით.

## წერილი სიღნაღიდან

ჯარში გაწვევა.—ხაზინისა და მცხოვრებთა დავა ადგილების შესახებ.

ამ თვეს სიღნაღში არის ჩვეულებრივი მოძრაობაა. ქალაქის მოედნები და ქუჩები სავსეა ხალხით. კივილ-წივილი, წუევლა-კრულვა და დრიანცელია. გარეშე კაცს ეგონება, მტერი შემოსევია ქალაქსაო. ცოტა რამ კიდევაც წააგავს მტერს. ეს ამბავი გამოიწვია ტფილისის გამომგზავნელ ოლქის სესიამ და სიღნაღის საბეგრო სამხედრო საკრებულომ. ერთმაცა და მეორემაც ბევრი დააფიქრა და დაალონა. თავის მხრივ სამხედრო საბეგროდ გამოწვეულნიც აწვალებენ და სტანჯავენ სავაჭროდ მოსულ სოფლელსავე დედაკაცებს. ხან ერთს წასტაცებენ ხელს და ხან მეორეს. იტაცებენ აგრეთვე წინდებს და აწვალებენ ისეც დაბეჩავებულ სოფლელ დედაკაცებს. ოქტომბრის ნახევრიდან ამ დღეშია სიღნაღის ბაზარი და ასე იქმნება ნოემბრის დამლევამდე. მანამ გათავდება ეს კენჭაობა, ბევრი გაიტყეპება და ბევრსაც გაათენებინებენ პოლიციასთან. ან კი რა საჭიროა მთელი მაზრის სიღნაღში შეკრება კენჭისათვის, როდესაც ოთხი წევრის ჩასვლა სოფლებში უფრო ადვილია, ვიდრე ამოდენა ხალხის ერთად მოყრა. ქუჩაში თუ ბაზარში ქალს აღარ გაუვლება. უწინ, როდესაც სოფლებში შესაფერი სახლები არ იყო, კიდევ აზრი ჰქონდა ამით სიღნაღში შეკრებას, ახლა კი, როდესაც სოფლებშიაც იშოვება შესაფერი შენობები, მეტად უნდა ჩაითვალოს ამათი სიღნაღში გამოწვევა. საერთოდ ჯერ კიდევ ბევრია სასურველი ამ ბეგრის რიგიანად მოწესრიგებისათვის. თვით სიები საბეგრო ყმაწვილ კაცებისა ბევრი არ შესდგება ისე, როგორც ამას კანონი თხოულობს. კომისიის მაგიერ დღეს სიებს ადგენს მარტო მწერალი და ამიტომ ბევრი შეცდომებიც არის ხოლმე. ამასთან ამ სიების გამოქვეყნება და გამოკიდება მთელი თვის განმავლობაში სოფლის კანცელარიაში და სხვა თვალსაჩინო ადგილს თუ სასოფლო ეკლესიაზედ მისი წაკითხვა სულ მეტ ბარგად მიაჩნიათ შემდგენელთ. სხვა წვრილმანის შესრულება, რომელსაც კანონი ავალებთ და საჭიროც არის ზოგიერთა საბეგროდ გამოწვეულთათვის, ხომ ყურადღების მისაქცევათაც არ ითვლება.

წელს სამხედრო ბეგარაში გაწვეულია მთელი მაზრიდან სულ 1053 ყმაწვილი კაცი; ამათში 413 კაცს შეღავათი აქვს და დანარჩენ 640 კაციდან ჯარში უნდა წავიდეს 324 კაცი, ანუ ორ კაცში ერთი, ანუ ნახევარი მთელ გამოწვეულ ყმაწვილკაცებისა. მთელი მაზრა სამხედრო საბეგრო ყმაწვილკაცთა გამოსაწვევად ოთხად არის გაყოფილი. პირველს ნაწილს შეადგენს ქალ. სიღნაღი. აქედან გაწვეულია 149 კაცი; უნდა აირჩიონ 48 კაცი. მეორე ნაწილიდან გამოწვეულია 296 კაცი, უნდა გავიდეს ჯარის-კაცად 95 კაცი. მესამე ნაწილიდან გაწვეულია 298 კაცი; უნდა გაიყვანონ 83 ჯარის-კაცი და მეოთხე ნაწილიდან გამოიწვიეს 343 კაცი, უკვე ამოარჩიეს 98 კაცი.

ნაკლები ხალხი არც ოლქის სასამართლოსთან ირევა. გამოწვეულია მთელის ქიზიყის სასულიერო წოდება და აზნაურობა. დაბარებულნი იყვნენ ახმეტელაშვილები, მერაბიშვილები, მჭედლიშვილები, მამაიაშვილი, ხუციშვილები, კობიაშვილები, ნანობაშვილები, ბეგიაშვილები, ჯალიაშვილები, ნაცვლიშვილები, მენთეშაშვილები, ალადაშვილები, შანშიაშვილები, ალავერდაშვილები, ხოსიტაშვილები, დოლაშვილები, ზალდასტანოვები, გოძელაურები, ყისოვები; აგრეთვე თუქურმიშიდან სომხები, რუსები და ავიცრები სულ —300 კაცამდე. ყველა ამათ მამულებს ედავება ხაზინა, რომლის ინტერესებს იცავდნენ ვექილი პაპოვი, ტყის მცველი ბეინაცკი და სახელმწიფო მამულების ზედამხედველი ალექსანდროვიჩი. მთლად აზნაურებისა და მრავალ სხვათა მხრივ დაპარაკობდა კერძო ვექილი ი. ი. ნატროშვილი. ხაზინის წარმომადგენელი თხოულობდა მამულები სახელმწიფო საკუთრებად ეცნოთ, რადგან მთლად ქიზიყი სახელმწიფო გლეხებით არის დასახლებული და კერძო საკუთრება არავისა აქვსო; ამას ამტკიცებს თვით საქმის სათაურიც, რომელსაც სახელმწიფო აგარაკები ეწოდებაო. ვექილი ნატროშვილი და სხვანი კი ამტკიცებდნენ, რომ ქიზიყში ყველა გლეხი მესაკუთრეა, რადგან იმათთვის მიწები არავის მიუცია, არამედ რუსის მთავრობამ რომ საქართველო მიიღო, ესენი ამ ადგილზე იყვნენ დასახლებულნი და უწინაც ქიზიყელები თავისუფალნი იყვნენ, ხარჯს არავის აძლევდნენ და აქამდისაც არავის უხდიდნენ მიწის ხარჯს. სამღვდელოება და აზნაურნი ხომ სულ განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველგვარ ხარჯებისაგან და მიწებს ისე მფლობელობდნენ და სარგებლობდნენ, როგორც მესაკუთრენი. ყიდულობდნენ, ჰყიდიდნენ, აგირავებდნენ და სხვ., რაიცა იმათ საკუთრებას ამტკიცებსო. თვით მოწმეების ჩვენებაც იმასვე ამტკიცებს. კანონიც ასე ხსნის, რომ ათის წლის მფლობელობა და სარგებლობა მამულისა დაუსაკუთრებს მის მფლობელს ამ მამულსაო და ჩვენ კი რამდენიმე ათეული წლით

წადი გმოვლობელობდით და მოდავე არავინა გვყოლია. ხაზინის წარმომადგენელი თხოულობდა, რომ მოდავეთ საბუთის ქაღალდებით დაემტკიცებინათ საკუთრება; მოწმეთა ჩვენება სულაც არ ამტკიცებს მათ საკუთრებას, რადგან არც ჩვენ ამბობთ, რომ მიწას არა ხმარობდნენო. მამულის სარგებლობა მესაკუთრედ ვერ გახდით და ვერც გახდებოდნენ, რადგან მიწები სახაზინო იყოო.

ბოლოს იმით დამთავრდა საქმე, რომ ბევრს სულ მთლად უარი უთხრეს და ძალიან ცოტას დაუტოვეს მამულები.

**შორეული.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ამ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის მახლობელ ნომერში.

ამას წინად თქვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“ შეუდგა სოფლების სასარგებლოდ აღებ-მიცემობის საქმეს (რათა ფასები ასწიოს თავ-თავის დროზე, აბრეშუმის პარკისა და ბამბისა. ბამბაც აიწონოს ისე, როგორც პარკი იწონება ყაფანზე, რადგანაც სოფლებში ჩარჩები მიდიან და არაფრით არ ჰზოგავენ გამყიდველებსაო). კარგი და პატიოსანი. სწორედ ძლიერ სასიამოვნოა ეს საქმე, რომ ყველაფერი ისე იყოს მოწყობილი, როგორც გაზეთშია გამოცხადებული. მაგრამ, საუბედუროდ, ისე როდია. მაგათ თუ მართლა სოფლების წინ წაწევა ჰქონდათ სახეში, ჩარჩები არ უნდა გაერიათ საქმეში, პირდაპირ სოფლელებისაგან უნდა ეყიდათ საქონელი, რომ კარგი ფასები სოფლელებისათვის ყოფილიყო სახეიროდ, თორემ ეს რა გამოდის: კარგი ფასებიც და წონაც შეემატა ისევ იმ ჩარჩებს, რომელთაც ეგრე ჰკიცხავს ამხანაგობა. აი როგორ: აიყვანეს ისევ ის ჩარჩები, რომელნიც აქამდინაც ტყავს აძრობდნენ სოფლელებს (მაგალითად, რამდენიმე ჩარჩია გაგზავნილი სოფლებში მეიდენეებად, რომელნიც არა თუ სოფლელებს, თავიანთ მეგობრებსაც არ დაზოგავენ, თუ კი რამე მოუხერხეს). სხვას რომ თავი დავანებოთ, ამხანაგობასაც კარგი დაკვირვება უნდა, რომ კარგად გაიცნოს ჩარჩების მოქმედება. სასურველია, ანგარიშის ხელში რაც მოუვიდათ ათასი გამცდელის წყალობით, ის არ გაიმეორონ ამათ თავს...

დასასრულ ამხანაგობას ვუსურვებ თავის აზრის განხორციელებას და ბ-ნ ქუთათელაძეს კი ვუსაყვედურებ, რომ ბამბის საქმის თაობაზე ნუგეშს დიდს გვაძლევს გაზეთში და საქმით კი წინააღმდეგს გვიდგა.

**მათე ჭრელაშ.**

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**26 ოქტომბერი**

**დარმშტადტი.** დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე რუსეთში გაემგზავრა.

**გროზნი.** დაიწყო სწავლა გროზნში ახლად დაარსებულს ქალთა პროგიმნაზიაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება დართო დაწესდეს საავადმყოფოს დასაარსებლად გადასახადი იმ შემთხვევაში, თუ საავადმყოფოში 48 ადგილი იქნება.

**რეველი** დაიწვა ქალაქის თეატრი. ცეცხლი მუშის დაუდევრობით სცენაზე გაჩნდა წარმოდგენის შემდეგ. არავინ დაღუპულა· დაიწვა არტისტების ტანისამოსი და მემუსიკეთა საკრავები. ზარალი დიდია.

**ლონდონი.** სახელმწიფონი შეთანხმდნენ; შანჰაიდან მალე სახელმწიფოთა ჯარები უნდა გავიდნენ.

**სოფია.** გაზეთი „ბოლგარია“ ყურადღებას აქცევს რუმინიის მეფის ბოლგარიაში მოსვლის მნიშვნელობას და ამბობს, რომ მეფეს ხალხი სიხარულით მიიღებსო.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ მოისურვა, რომ იტალიის გემები მიდის ნავთსადგურიდან გაიყვანონ. იტალიის მთავრობამ მიუგო, რომ ჯერ ჯილდოს გადახდა და ავაზაკთა გაცემაა საჭირო. ოსმალებმა შეუთვალეს, რომ ავაზაკების შეპყრობა ძნელიაო. ჰშიშობენ, იტალიას მიდიის ნავთსადგურში არ უნდოდეს დამკვიდრება.

საფრანგეთის მთავრობამ მოისურვა წერილობით დამტკიცება იმისა, რომ ლორანდოსა და ტუბინის ვალი გასტუმრებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში პარიზის ბირჟაზე ახალ სესხის განაღდება აიკრძალებაო.

**27 ოქტომბერი**

**ლონდონი.** იმპერატორი ვილჰელმი ვიქტორიის ნავთ-სადგურში მოვიდა.

**მარსელი.** ჩამოვიდა მაროკოს გარეშე საქმეთა მინისტრის ძმა. იგი მიდის საგანგებო მინდობილობით დელკასესთან და ალჟირის გენერალ-გუბერნატორთან, რომელსაც პარიზში მოელიან.

**პარიზი.** „გოლუა“ იტყობინება, რომ ლუბე იტალიაში მიდის, ვითომდა გადაწყვეტილი შეხვედრა მეფისა და ლუბესი უნდა მოხდეს ტურინსა, ფლორენციასა ან ნეაპოლში. მეფე გადაუხდის დარბაზობას სამხრეთ საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში. პაპი მიიღებს ლუბეს როგორც ვატიკანში საფრანგეთის ელჩის სტუმარსა, თუ თვითონ მოვა პაპის სანახავად.

**ნოვოროსიისკი.** სასოფლო საჭიროებათა კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს, რომ შავი ზღვის ნაპირა რკინის გზამ ნოვოროსიისკზე გაიაროს.

**იოკაჰამა.** იმპერატორი წავიდა ჯარების ალლუმზე კიუსიუს კუნძულზე. იქ თავმოყრილი არიან უცხოეთის სამხედრო წარმომადგენელნი და ჩინეთის აფიცრები.

დატუსაღებულია ორი კორეელი, რომელთაც, როგორც ჰფიქრობენ, განზრახვა ჰქონდათ წარჩინებული კორეელ ემიგრანტების მოკვლა.

არსდება ახალი კონსტიტუციონალური პარტია, რომელსაც განზრახვა აქვს ოპოზიცია გაუწიოს მთავრობის პარლამენტში.

**შორნკლიფი.** ფოლკსტონის მერმა მიართვა ვილჰელმ II-ს ადრესი, როგორც ძლიერ სახელმწიფოს მბრძანებელს და ინგლისის სამეფო სახლის ნათესავს.

**ლონდონი.** შორნკლიფში გამართულ საუზმის დროს პოლკის უფროსმა მადლობა გადაუხადა ვილჰელმს დრაგუნის ოფიცრების პატივისცემისა და აფრიკაში დახოცილ ჯარის კაცთა ოჯახების დახმარებისათვის.

**ბერბერა.** მოლას 2000-ზე მეტი თოფი აქვს, უმთავრესად საფრანგეთში დამზადებული, აგრეთვე ბევრი სამხედრო მასალა და ჰყავს 15 ათასი შუბოსანი. ძნელია მოსპონ იარაღის შემოზიდვა საფრანგეთის სამფლობელოდან.

**ხანდრინგემი.** ვილჰელმ II მოვიდა საღამოს 6 საათზე; ვოლპტონის სადგურზე მას მიეგებნენ მეფე და უელსის პრინცი.

**სოფია** ცონჩევი პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფება. მთავრობას განზრახვა აქვს სამართალში მისცეს იგი საცხოვრებელ ადგილიდან ნება დაურთველად წასვლის გამო.

ჯუმაის ოლქში ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა.

ბოლგარია დღესასწაულობს ვენელინის დაბადების ასის წლის შესრულებას.

ბრალდებითი ოქმი ყოფილ მინისტრებს —ივანჩოვის, როდოსლავოვის, ტონჩევისა და ტენევის წინააღმდეგ ჩაებარა ბრალდებულთ.

**სოფია.** დიმიტრიევი უმთავრეს შტაბის უფროსად კი არა, უფროსის თანაშემწედ დაინიშნა.

**შორნკლიფი.** იმპერატორის მატარებელი მოვიდა აქ ძლიერ ქარიშხალის დროს. საშინელ თავსხმის დროს იმპერატორმა ჩაუარა ჯარებს, მიჰმართა სიტყვით და მიულოცა მოვალეობის სამაგალითო შესრულება სამხრეთ-აფრიკის ომის დროს. $3^1/_2$ საათზე იმპერატორი ლონდონში მოვიდა.

**პეტერბურგის ბირჟა 25 ოქტომბერს**

**ვექსილის კურსი 3 თვით:**

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,80 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,90 |
| პარიზზე 100 ფრანკში | $37,37^1/_2$ |
| ლონდონზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინზე „ | 46,25 |
| პარიზზე „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | $4^1/_2$—$6^1/_2$% |

| | | |
|---|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა | $97^1/_8$ | გაყიდ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | $99^1/_4$ | მყიდ. |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | „ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა | $94^1/_2$ | „ |
| 5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | $479^1/_2$ | გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | $362^1/_2$ | „ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 290 | „ |
| 6% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — | |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | |
| ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. | $89^1/_4$ | „ |
| $4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა | — | |
| ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც. | — | |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | $89^3/_8$ | |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | $206^1/_2$ | „ |

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი**

# გამოსადეგი ცნობანი

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.)

### ბ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

### გ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (პარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

### ე) ფოთიდან გამოდის:

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).


# განცხადებანი

იყიდება
სამ-სართულიანი
# სახლი
დუქნებით და ფლიგელით, იძლევა 8%-ს წმინდა შემოსავალს. იკითხეთ ბაზრის ქუჩაზე სახლი № 8, დილით 9—10 საათ. და საღამოთი 5—6 საათ. (10—6)

# ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
# სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—37)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
# კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პლატონ ბაჩანასი. | — | 10 |
| იოსებ დავითაშვილის ლექსები | — | 50 |
| ბნელი მოთხრობა—მელანიასი. | — | 20 |
| დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო | 1 | — |
| იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე | 1 | 50 |
| ი. ჭავჭავაძის I ტომი | — | 70 |
| იგივე II და III ტომი თითო | — | 60 |
| იგივე IV ტ. ორ წიგნათ. | — | 80 |
| სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა | — | 10 |
| სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა. | — | 40 |
| აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო | — | 60 |
| რაფ. ერისთავის I ტომი | — | 60 |
| საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი | — | 20 |
| სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა. | 1 | 20 |
| აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა | — | 50 |
| სიბრძნე ბალავარისა | — | 30 |
| აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში | — | 15 |
| დგინის დაჯენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე, მისივე | 1 | 50 |
| ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა | — | 80 |
| დასტურ-ლამა | — | 20 |
| ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა | — | 50 |
| სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. | — | 20 |
| ფიზიოლოგია—ფოსტერისა | — | 25 |

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფოსტ დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასისა ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში**, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

# ზ ი ს
## ნახშირის საწყობი
**იაგორ მამინაიშვილისა**
(საკუთარი ტყიდან)
**გერის მოედანზე, ყაფანთან**
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

# ცინკოგრაფია
**წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა**
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
# დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
# მაღაზია
(სასახლის ქუჩიდან)
ტელეფონი № 741.
გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика. (0—28)

# ელეოპატი შვედური ბალზამი
**პროვიზორის კინუნენისა.**
ეს საშუალება სასარგებლოა **თმის გასამაგრებლად და ქერტლის მოსასპობად.** დიდ-ძალი მოთხოვნა **ელეოპატისა** ამ 25 წლის (1877 წლიდან) განმავლობაში თავდებია ნდობისა. **იყიდება ყველგან.**
ადრესი წერილებისათვის: С.-Петербургъ, Разъѣзжая, 13,—въ главный складъ ЭЛЕОПАТА, провизора Кинунена. (5—1)


Дозв. ценз. Тифлисъ, 27 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).